ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №458491

ნომერი: AR193480

თარიღი : 30.11.2012

გაცემის თარიღი : 05.12.2012

გაცნობის თარიღი : 05.12.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კმ-ზე, მარჯვენა მხარე, (ნაკვ. N1 და N2) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ტოროშელიძე პ/ნ 01010002596
- ახვლედიანის ქ.N7

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებელად მიაჩნია საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: #01.13.01.018.098) საზღვრების კონფიგურაციის ცვლილება ფართობის უცვლელად. თუმცა, ვინაიდან, მოცემული საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.13.01.018.280) არქიტექტურის სამსახურში შემოსულია AR193656 განცხადება მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მიზანშეწონილია მოხდეს ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულების ერთობლივი სახით კორექტირება წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.